

## პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია

(პროგრამის ხანგრძლივობა - 6 თვე)

### მუხლი 1. სუბსპეციალობის (პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია) პროგრამის მიზანი

სუბსპეციალობის (პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია) პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია სერტიფიცირებული ექიმი-სტომატოლოგებისათვის (თერაპიული სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია) პირის ღრუს ქირურგიის მიმართულეებით დამატებითი კომპეტენციის მინიჭება, რათა მათ შეძლონ ამბულატორიულ დონეზე პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგიური მანიპულაციების შესრულება.

### მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

1. პროგრამის ამოცანაა მაძიებელმა მისი დასრულების შემდგომ იცოდეს:

ა) ქირურგიული სტომატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტის გასინჯვა და დაავადების დიაგნოსტიკა;

ბ) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადი არსის განსაზღვრა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დაავადების პრევენციის ღონისძიებების დასახვა;

დ) მკურნალობის სქემის შემუშავება, სამკურნალო საშუალებების მიზანმიმართული სელექცია და დანიშნულებისამებრ გამოყენება;

ე) პირის ღრუს პათოლოგიის მქონე პაციენტთა ანამნეზის შეკრება;

ვ) კლინიკური გასინჯვის ყველა აღიარებული მეთოდი;

ზ) კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის თანამედროვე საშუალებების მონაცემთა კვალიფიციური ინტერპრეტაცია, დიაგნოსტიკა;

თ) ასეპტიკა-ანტისეპტიკის წესები;

ი) ქირურგიული სტომატოლოგიის განყოფილების/კაბინეტის ორგანიზაცია და ტექნიკური აღჭურვილობა;

კ) კბილების ექსტრაქციისთვის საჭირო იარაღები;

ლ) კბილების ექსტრაქციის ჩატარების მეთოდიკა ზედა და ქვედა ყბაზე;

მ) ბავშვთა და მოზარდთა ასაკში ინფილტრაციული და რეგიონალური ანესთეზიების ჩატარების თავისებურებები;

ნ) გაუტკივარების ადგილობრივი საანესთეზიო ნივთიერებების კლინიკო-ფარმაცოლოგიური თვისებები.

2. პროგრამის დასრულების შემდგომ მაძიებელს უნდა შეეძლოს:

ა) არაინექციური გაუტკივარების შესრულება;

- ბ) ინექციური გაუტკივარების (ინფილტრაციული, მძიმე-რეგიონული) შესრულება;
- გ) კბილების ექსტრაქცია;
- დ) კბილების ექსტრაქციის შემდეგ ჭრილობის დამუშავება და მოვლა;
- ე) კბილის ექსტრაქციის გართულებების: ზოგადი, ადგილობრივი, ადრეული, მოგვიანებითი პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- ვ) კბილების ამოჭრის პათოლოგიების: ნახევრადრეტენციული, დისტოპიური კბილები, დიაგნოსტიკა და, ჩვენების მიხედვით, ოპერაციული მკურნალობა;
- ზ) კბილის ფესვის მწვერვალის რეზექცია;
- თ) პირის ღრუს ოდონტოგენური და არაოდონტოგენური ანთებითი პროცესების დიაგნოსტიკა;
- ი) პირის ღრუს ლორწოვანი გარსების ჭრილობების დამუშავება და შეკერვა;
- კ) ენის ზერელე ჭრილობების დამუშავება და სატურაცია;
- ლ) კბილების მოტეხილობების დიფერენციული მკურნალობა;
- მ) კბილების ამოვარდნილობის დიფერენციული მკურნალობა;
- ნ) ალვეოლური მორჩის მოტეხილობების კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
- ო) მცირე ზომის ოდონტოგენური კისტების ქირურგიული მკურნალობა;
- პ) მცირე სანერწყვე ჯირკვლების რეტენციული კისტების ქირურგიული მკურნალობა;
- ჟ) სარძევე კბილების ექსტრაქცია;
- რ) კბილების ამოვარდნილობის მკურნალობის თავისებურება სარძევე და ცვლად თანკბილვაში;
- ს) ოდონტოგენური ანთებითი პროცესების – სუბპერიოსტული აბსცესის გახსნა;
- ტ) სანერწყვე ჯირკვლების ანთებითი დაავადებების მკურნალობა ბავშვთა ასაკში;
- უ) ოდონტოგენური კისტების მკურნალობა: ცისტოტომია, ცისტექტომია;
- ფ) ზედა და ქვედა ტუჩის ლაგამის პლასტიკა.

### **მუხლი 3. პროგრამის აქტუალობის დასაბუთება**

1. „ყბა-სახის ქირურგიული“ სერვისი ძირითადად სტაციონარულ დონეზე მიეწოდება. შესაბამისად, ამბულატორიულ დაწესებულებებში პირის ღრუს ქირურგიულ სერვისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, სათანადო სპეციალობის ექიმ-სტომატოლოგებს მიეცეთ შესაძლებლობა, დაეუფლონ იმ კომპეტენციებს, რომელიც საკმარისია ამბულატორიულად რუტინული პირის ღრუს ქირურგიული სერვისების მიწოდების მიზნით.

2. სუბსპეციალობა მოიცავს:

- ა) ოდონტოგენური ანთებითი პროცესების დიაგნოსტიკას, დიფერენციალურ დიაგნოსტიკას, მკურნალობას;
- ბ) კბილების ამოჭრის დარღვევებს, პაროდონტის დაავადებების ქირურგიულ მკურნალობას, პირის ღრუს მაგარი და რბილი ქსოვილების ტრავმულ დაზიანებებს;

გ) ბავშვთა და მოზარდთა ასაკში პირის ღრუს ქირურგიული დაავადებების თავისებურებებს და მკურნალობის სპეციფიკას.

**მუხლი 4. პროგრამის შინაარსი**

ასათვისებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამონათვალი:

თეორიული ცოდნა	პროფესიული უნარ-ჩვევები (კონკრეტული მანიპულაციების/პროცედურების მითითებით)
ა) ამბულატორიულ-ქირურგიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების მუშაობის სპეციფიკა და აღჭურვილობა	
ბ) გამოკვლევის მეთოდები	
გ) გაუტკივარება – ადგილობრივი საანესთეზიო ნივთიერებების კლინიკო-ფარმაკოლოგიური თვისებები, გაუტკივარების წინააღმდეგ ჩვენებები, არაინექციური და ინექციური გაუტკივარება	ინფილტრაციული ანესთეზია პირის ღრუმში 5 რეგიონული ანესთეზიები ზედა ყბაზე 3 რეგიონული ანესთეზიები ქვედა ყბაზე 3 მანდიბულური ანესთეზია 5 ტოროზული ანესთეზია 5
დ) გამტარებლობითი ანესთეზიები ზედა ყბაზე, ქვედა ყბაზე, ადგილობრივი ანესთეზიის ზოგადი და ადგილობრივი გართულებები	
ე) კბილების ექსტრაქციის ოპერაცია, ჩვენებები, წინააღმდეგ ჩვენებები, გართულებები, მათი თავიდან აცილების გზები	ზედა ყბაზე ცალკეული ჯგუფის კბილების ექსტრაქციები 20 დარჩენილი ფესვების ექსტრაქციები 5 ნახევრად რეტენციული მესამე მოლარის ექსტრაქცია 2 ადგილობრივი გართულებების პროფილაქტიკა და მკურნალობა 5
ვ) პირის ღრუს ოდონტოგენური ანთებითი პროცესები-პერიოსტიტები. კბილების მოტეხილობა-ამოვარდნილობა. ალვეოლური მორჩის მოტეხილობა. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ენის ზერელე ჭრილობები	სუბპერიოსტული აბსცესის გახსნა 2 სრული ამოვარდნილი კბილის რეპლანტაცია 1 ნაწილობრივ ამოვარდნილი კბილის ფიქსაცია 1 ალვეოლური მორჩის მონატეხი ფრაგმენტების ფიქსაცია 1 ჭრილობების დამუშავება და შეკერვა 2

ზ) პაროდონტის დაავადებების ქირურგიულ მკურნალობაში გინგივოტომიის და გინგივექტომიის გამოყენება	გინგივოტომია 2 გინგივექტომია 1
თ) ინექციური და არაინექციური გაუტკივარების მეთოდების თავისებურება ბავშვთა ასაკში	ბავშვებში ინფილტრაციული ანესთეზიები ზედა და ქვედა ყბაზე 10
ი) სარძევე და მუდმივი კბილების ექსტრაქციები, ჩვენებები, უკუჩვენებები, ჩატარების თავისებურება, გართულებები, მათი თავიდან აცილების გზები.	ზედა და ქვედა ყბის ცალკეული ჯგუფის სარძევე კბილების ექსტრაქციები 10 მუდმივი კბილების ექსტრაქციები 8
კ) პირის ღრუს რბილი ქსოვილების ტრავმული დაზიანებები, მათი თავისებურებები ბავშვებში. კბილის მაგარი ქსოვილების ტრავმული დაზიანებები. მკურნალობის მეთოდების შერჩევა გამომდინარე ასაკიდან. მცირე მასშტაბის ქირურგიული ჩარევები სანერწყვე ჯირკვლებზე. ზედა და ქვედა ტუჩის ლაგამების ანომალიები, მკურნალობის ვადები და მეთოდები ბავშვებსა და მოზარდებში	კბილების ჩაჭედილი და არასრული ამოვარდნილობების მკურნალობა 7 მწვავე და ქრონიკული პერიოსტიტის მკურნალობა (სუბპერიოსტული) აბსცესის გახსნა ქვედა ყბაზე 2 ტუჩისა და ლოყის მცირე სანერწყვე ჯირკვლების კისტების ქირურგიული მკურნალობა 1 ზედა და ქვედა ტუჩის ლაგამის პლასტიკა 2

**მუხლი 5. სასწავლო პროცესის აღწერა**

1. სწავლების ეტაპები/სასწავლო პროგრამის კომპონენტები:

სწავლების ეტაპები/სასწავლო პროგრამის კომპონენტები	ხანგრძლივობა
ა) ქირურგიული სტომატოლოგიური ავადმყოფების გამოკვლევა, გაუტკივარება ქირურგიულ სტომატოლოგიაში. კბილის ამოღების ოპერაცია	1 თვე
ბ) ოდონტოგენური ანთებითი პროცესები. კბილის მაგარი და რბილი ქსოვილების ტრავმული დაზიანებები. ენის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებები და პაროდონტის დაავადებების ქირურგიული მკურნალობა	1 თვე

<p>გ) ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდიკა ბავშვებსა და მოზარდებში. სარძევე და მუდმივი კბილების ექსტრაქციის თავისებურებები, მათი გართულებების თავიდან აცილების გზები. ოდონტოგენური ანთებითი პროცესების მიმდინარეობის თავისებურებები ბავშვებსა და მოზარდებში. კბილების ტრავმული დაზიანებები, მათი მკურნალობის სპეციფიკა გამომდინარე ასაკიდან. მცირე მასშტაბის ქირურგიული ჩარევები ყბების ძვლების მცირე ზომის სხვადასხვა გენეზის კისტებისა და სანერწყვე ჯირკვლების კისტების დროს. ზედა და ქვედა ტუჩის ლაგამების ქირურგიული მკურნალობის ვადები და მეთოდების თავისებურებები ბავშვებსა და მოზარდებში</p>	<p>1 თვე</p>
--	--------------

2. სწავლების მეთოდებია: პრაქტიკული მეცადინეობები, თეორიული მეცადინეობები, კლინიკური გარჩევა, პრეზენტაცია.

3. თეორიული მზადებისას მსმენელმა უნდა შეძლოს სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, რეფერატული ხასიათის მოხსენების მომზადება, თვითმომზადების მიზნით კვირაში ერთი დღე გამოყოფილი უნდა იყოს სემინარული მეცადინეობისთვის.

4. პრაქტიკული საქმიანობისას მსმენელმა უნდა შეძლოს ავადმყოფის მიღება, კლინიკურ გარჩევებში მონაწილეობა.

5. ქირურგიულ სტომატოლოგიაში მზადების ძირითადი მეთოდია მაძიებლის მიერ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური მუშაობის შესრულება ხელმძღვანელის მეთვალყურეობის პირობებში.

6. სამედიცინო დაწესებულებაში პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 სთ კვირაში. მსმენელს კვირაში უნდა ჰქონდეს ერთი დასვენების დღე.

7. ინფორმაციის მიწოდების ფორმებია: ნაბეჭდი მასალა, აუდიო მასალა, ვიდეომასალა.

## **მუხლი 6. შეფასება**

1. თეორიული ცოდნის შეფასება ხდება ყოველი ეტაპის გავლის შემდეგ გავლილი მასალის ზეპირი გამოკითხვის და ტესტური შემოწმების საფუძველზე.

2. პრაქტიკული უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ ყოველი ეტაპის გავლის შემდეგ. განისაზღვრება პრაქტიკული სამუშაოს რა ნაწილს ასრულებს მაძიებელი დამოუკიდებლად და პედაგოგის დახმარებით.

## **მუხლი 7. ლიტერატურის ჩამონათვალი**

- 1.ო. ნემსაძე ” ქირურგიული სტომატოლოგია” თბილისი. 1999წ.
- 2.ა. ბრეგაძე, ო. ბრეგაძე. ” ქირურგიული სტომატოლოგია” თბილისი. 2000წ.
- 3.Stanly F., Malamed Hanelbook of local anesthesia 2005.
- 4.Робустова Т. Г. Хирургическая стоматология. Москва
- 5.Е. Сабо – Амбулаторная хирургия зубов и полости рта. 1997. Будапешт.
- 6.А.Колесов. Стоматология детского возраста. Москва. 2003г
- 7.Камерон под редакцией Т. Виноградовой. Стоматология детского возраста. 2003г.

## **მუხლი 8. მოთხოვნები სუბსპეციალობის განმახორციელებელი დაწესებულებებისადმი/სასწავლებლებისადმი**

1. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პასუხისმგებელ პირზე უნდა მოდიოდეს 2 მაძიებელი.

2. სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის დატვირთვა სუბსპეციალობის ერთ მაძიებელზე გაანგარიშებით უნდა შეადგენდეს საშუალოდ 300 ქირურგიულ-სტომატოლოგიურ ვიზიტს (აღნიშნული მოიცავს როგორც მოზრდილი, ასევე, ბავშვთა კონტინენტის ვიზიტებს) წელიწადში.

3. სტომატოლოგიურ დაწესებულებაში არაუმეტეს 1 მაძიებელი მაძიებლისთვის განკუთვნილ თითოეულ სავარძელზე.